1 ქულიანი ღია ტესტები

1. **რომელი ძველრომაული ორგანო ასრულებდა წარმომადგენლობითი ხელისუფლების ფუნქციას რესპუბლიკის ხანაში?**

   რესპუბლიკის ხანაში სახელმწიფო ორგანოები იყო: მაგისტრატურა , სენატი , და სახალხო კრებები .სენატი იყო რესპუბლიკური რომის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობითი და სათათბირო ორგანო .

2. **ჩამოთვალეთ მოსახლეობის კატეგორიები ძველ რომში იმპერიის ხანაში?**

   პატრიციები და პლებეები , გააზატებულები , (მონები?)

3. **მოსახლეობის რა კატეგორიის ინტერესებს იცავდა ძველი რომის ცივილური სამართალი?**

   რომის ცივილური სამართალი რომის მოქალაქეთა ინტერესებს იცავდა აქედან გამომდინარეობდა სწირედ მისი მკაცრად ეროვნული ხასიათი.

4. **ჩამოთვალეთ არქაული პერიოდის ძველი რომის სამართლის წყაროები?**

   არქაული პერიოდის ძველი რომის სამართლის წყაროები: ა) ჩვეულებითი სამართალი (conuetudo) ბ) კანონი(leges,lex) და პლებისციტები (plebiscita) გ) სარჩელი დ) იურისტების მოღვაწეობა ე) სამართლის სხვა წყაროები :1- სასამართლო პრეცედენტი 2- სენატუსკონსულტები 3-მაგისტრატების ედიქტები 4- იმპერატორების კონსტიტუციები .

5. **რამ განაპირობა ძველი რომის პრეტორული სამართლის წარმოშობა ?**

   დროის კვალობაზე , მონათმფლობელური სისტემისა და ეკონომიკის განვითარების შედეგას , გაბატონებული სოციალური ფენის ხელში ვაჭრობითა და მევახშეობით მიღებულმა კაპიტალმა და მსხვილმა საადგილმამულო საკუთრებამ მოიყარა თავი. შედეგად, სოციალური დაპირისპირება გამწვავდა. ძველი ცივილური სამართლის დადგენილებები,როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობას ვეღარ აკმაყოფილებდა აღნიშნული ხარვეზები სასწრაფოდ აღმოფხვრას საჭიროებდა ,რომლის გამოსწორებაც სასამართლო მაგისტრატებმა-პრეტორებმა ითავეს .

6. **რა ძირითადი ნიშნით ხასიათდებოდა ძველრომაული აგნატური ნათესაობა?**

რომაული სამოქალაქო სამართლით აგნატური ოჯახი იყო საოჯახო თემი, რომლის განმსაზღვრელი სა ერთიანობის განმაპირობებელი გახლდათ ნათესაობა მამის მხრიდან, ხოლო ფორმალური საფიძველი-ხელოვნურად შექმნილი იურიდიული ურთიერთობა, რომლის გაუქმებაც მარტივად იყო შესაძლებელი.ისინი ერთ დიდ პატრიარქალურ ოჯახებად ცხოვრობდნენ.

7. ვინ იყო Persona sui iuris?

Persona sui iuris-თვითხელისუფალი პირი, შიდა საოჯახო სივრცეში ამ სტატუსით სარგებლობდა მხოლოდ ოჯახის უფროსი.თავის პირად ქონებას თვითონ განკარგავდა და არ იყო არავის დაქვემდებარებაში.

8. ჩამოთვალეთ ძველრომაული მზითევის კატეგორიები?

ძველ რომაელთა ყოფაში მზითვს ძალიან დიდი ნიშვნელობა ჰქონდა. ისინი რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა: ოჯახის უფროსისგან მიღებული, მესამე პირისგან მიღებული, შეფასებული , სავალდებულო, განსაკუთრებული სახე -მზითევს გარდა -parapherna

9. განმარტეთ succession ex testamento(tastamentaria) ცნება?

ანდერძით მემკვიდრეობა . ანდერძის არსი მამკვიდრებლის მონაცვლის გარკვევა იყო. ანდერძში ქონების მფლობელი ასახელებდა მემკვიდრეს , პირს, რომელსაც გადაეცემოდა ქონება მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ.

10. განმარტეთ ძველრომაული საკუთრების უფლების ცნება?

ნივთის გამოყენებისა და განკარგვის შეუზღუდავი შესაძლებლობა . ნივთზე კერძო მესაკუთრის უფლება უცხო პირების ჩარევას გამორიცხავდა.

11. დაასახელეთ re(რეალური ხელშეკრულების) ძირითადი პირობები?

მხარეთა შეთანხმების გარდა, ვალდებულების წარმოშობისათვის მოვალისთვის ნივთის გადაცემა იყო სავალდებულო.

12. ჩამოთვალეთ რექსების ხანის ძველი რომის სახელმწიფო ორგანოები?

Senatus, comitia centuriata, comitia curiata

13. რამდენ და რა ეტაპად იყოფოდა ძველი რომის იმპერიული მმართველობის ხანა?

ორ ეტაპად : პრინციპატი(principatus) და დომინატი (dominates)

14. რომელ სამართლებრივ აქტს გულისხმობდა ტიტუს ლივიუსი ,როცა ამბობდა „ის ერთდროულად იყო საჯარო და კერძო სამართლის წყარო „ ?

12 დაფის კანონებს(XII დაფის კანონებს)

15. დაასახელეთ ძველი რომის სამართალგანვითარების ეტაპები ?

არქაული პერიოდი (ქრ.შობამდე 753-367წწ)
წინაკლასიკური პერიოდი (ქრ.შობამდე 367-17წწ)
კლასიკური პერიოდი (ქრ.შობამდე 17წ-ქრ.შობის 235წ)
პოსტკლასიკური პერიოდი(IV-Vსს)
იუსტინიანეს პერიოდი (527-565 წწ)

16. ჩამოთვალეთ მონობის წყაროები ცივილური სამართლის მიხედვით?

ა)მონად დასჯა კატორღის სანაცვლოდ
ბ)ქონებრივი ცენზის ვერ გავლა
გ) სამხედრო ვალდებულების თავის არიდება
დ) მონასთან მრუშობა

17. რა იყო capitus deminutio minima-ს შედეგი?

უფლებაუნარიანობის მინიმალური დამცრობა- საოჯახო სტატუსის დაკარგვა.

18. ჩამოთვალეთ პრეტორული მემკვიდრეობის რიგში შემავალი პირები ?

გარდაცვლილის როგორც საკუთარი ასევე ემანციპირებული შვილები, ლეგიტიმები, ღვიძლი ნათესავები , გაazატებულის პატრონის მეუღლე და მისი შვილები, პატრონის პატრონი, ცოცხლად დარჩენილი მეუღლე, პატრონის ნათესავები.

19. ჩამოთვალეთ მზითევის დადგენის ხერხები ?

Dotis promissio-მზითევის დაპირება, dotis diction-მზითევის დათქმა

Dotis datio-მზითევის მიცემა

20. განმარტეთ legatum-ის ფლორენტინუსის დეფინიცია?

„ ლეგატი არის მემკვიდრეობის შემცირება ,რითაც მოანდერძეს სურს მე-3 პირს გადასცეს იმ ქონების ნაწილი , რასაც მემკვიდრე მთლიანად მიიღებს“

21. დაასახელეთ ძველრომაული საკუთრების უფლების თავდაპირველი შეძენის გზები?

ოკუპაცია,ნაყოფი,გადამუშავება,განძი,ასევე საკუთრების შეძენა ხელშეკრულებით.

22. ჩამოთვალეთ ვალდებულების შესრულების საშუალებები?

ა)რაიმე ნივთის გადაცემა(dare)- რაიმე ნივთის მესაკუთრედ ქცევას ან სანივთო უფლების დადგენას,ბ) რაიმეს შესრულება(მოქმედება,მოქმედებისგან თავის შეკავება)(facere)- ყველა მოქმედებას ნიშნავს ,რომელიც გარკვეული ქმედების შესრულებას ან მოქმედებაზე უარის თქმას გამოხატავს,გ)რაიმეს მინიჭება (praestare)-რაიმეს გარანტირებას ან უზრუნველყოფას და ამისათვის საკუთარ თავზე პასუხისმგებლობით აღებას

23. დაასახელეთ რესპუბლიკის პერიოდის ძველი რომში მოქმედი სახალხო კრებები?

Comitia calata, comitia curiata, comitia centuriata, comitia tribuna.

24. როგორ განვმარტავთ პრინციპატის პერიოდს?

რომში არსებული, რესპუბლიკური ორგანოებით მენიღბულ-შელამაზებული მონარქიული მმართველობის ნაირსახეობა.

25. რომელი თანამდებობის პირები და რა ვადით გამოსცემდნენ edicta-ს?

მაგისტრები-1 წლის ვადით

26. რა ნაწილებისგან შედგებოდა instituciones iustiniani?

იგი შედგებოდა ოთხი ნაწილისგან: 1-სამართლის სუბიექტები,2-სანივთო სამართალი 3-ვალდებულებითი 4- საოჯახო და მემკვიდრეობითი

27. ვინ და რის შემდეგ იძენდა latini iuniana-ს სტატუსს?

Lex iunia norbana-ს საფუძველზე გააზატებული პირები,ამ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ ის პირები,რომლებიც არცერთ ლათინურ თემს არ განეკუთვნებოდნენ.

28. ჩამოთვალეთ ძველრომაული ოჯახის თავისებურებები?

რომაული ოჯაზი იყო პატრიარქალური და პატრიკულარული.

29. ჩამოთვალეთ ძველ რომში ქორწინების ნამდვილობის პირობები?

1-ქორწინების უფლება][2-ნათესაური კავშირის არ ქონა][3-მექორწინეთა ასაკი ქალიშვილი-12, ვაჟები-14]

30. დაასახელეთ ძველრომაული საკუთრების უფლების სახეები?

კვირიტული,პერეგრინების,პროვინციული,პრეტორული დას იუსტინიანეს სამართლით.

31. განმარტეთ legatum-ის მოდესტინუსისსეული დეფინიცია?

„ლეგატი არის ანდერძით ჩუქება“

32. რას ნიშნავს usufructus-ი?

სხვისი ნივთით სარგებლობას და მისი ნაყოფითაც.

33. დაასახელეთ ვალდებულების შესრულების პირობები?

.კეთილსინდისიერად
.დროულად
.ჯეროვნად
. დათქმულ ადგილზე

34. ვინ მართავდა პროვინციებს პრინციპატის ხანაში?

ყელაზე მდიდარ პროვინციებს -პრინცეფსი,დანარჩენს-სენატი

35. დაასახელეთ რესპუბლიკის პერიოდის რომის სახელმწიფო ორგანოების სისტება?

სენატი,რომელიც იყო ქურუმთა საბჭო და რექსს მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში ეხმარებოდა.

36. რას ნიშნავდა agree, cavere, respondere?

სამართალმცოდნეების პროფესიული საქმიანობა სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა:

Agree-სასამართლო საქმის წარმოება

Cavere-სარჩელის ,გარიგებების,ანდერძის შედგენა

Respondere-პასუხის გაცემა

37. რას ამბობსა gaius-ი senatusconsultumi-ის შესახებ?

სენატის დადგენილება არის ის,რაც სენატმა ბრძანა და დაადგინა.მას აქვს კანონის ძალა,თუმცა ამის შესახებ ბევრს დაობდნენ.

38. ჩამოთვალეთ servi-ს გააზატების (manumission) გზები?

.vindicta

.საცენზო სიებში შეყვანა

. ანდერძით

. ჯარის წინაშე

.მეგობრების წრეში

39. ვინ შედიოდა in patria potestas-ში?

შვილები, ცოლი და მონები.

40. დაასახელეთ iustium matrimonium-ის დამაბრკოლებელი გარემოებები?

.ქორწინების უფლების არქონა
.სოციალური განსხვავება
.ნათესაობა

41. რას ნიშნავდა ძველრომაული პატრილოკალური ოჯახი?

ქორწინების შემდეგ ცოლი შედიოდა ქმრის ოჯახში.ის ქმრის ან მისი ოჯახის უფროსის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა.

42. დაასახელეთ ძველრომაული საკუთრების უფლების შინაარსის აღმნიშვნელი ტერმინები?

Uti , frui, habere, possidere

43.დაასახელეთ თანასაკუთრების(communion,condominium) წარმოშობის გზები?

ნებაყოფლობითი ან შემთხვევითი წარმოშობა.ნებაყოფლობითი-ამხანაგობის ხელშეკრულებიტ ანრამდენიმე პირის ნაბაყოფლობითი მოქმედებით.შემთხვევითი-რამდენიმე პირის მიერ ერთი და იმავე ნივთის შეძენით ან რამდენიმე ნივთის ფიზიკური შერწყმით.

44.განმარტეთ ვალდებულების(obligatio) ძველრომაული დეფინიცია?

„ვალდებულება არის სამართლებრივი ბორკილი,რომლის ძალითაც ჩვენ იძულებულნი ვართ რაიმე შევასრულოტ ჩვენი სახელმწიფოს კანონებიუს შესაბამისად“

45.ვინ მართავდა დიოცეზებსა და პროვინციებს დომინატის ხანაში?

დიოცეზები-ვიკარიუსები ,პროვინციები-რექტორები

46. ჩამოთვალეთ დიოკლიტიანეს ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად შექმნილი სამოხელეო სისტემის უმაღლესი თანამდებობების პირები?

Questor sacri palate,magister offociorum,magistri militum

47. რას ამბობდა ulpianus-ი constitutions principium-ის შესახებ?

ულპიანეს აზრით პრინცეფსის გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს ,რადგან ხალხი იმპერატოტს მთელ ხელიფუფლებას,პრინცეფსის ხელისუფლების შესახებ გამოცემული კანონით,გადასცემს.

48. ძველი რომის სამართლის წყაროთა იერარქიაში რა ადგილი ეკავა plebiscita-ს?

თავდაპირველად,პლებსის სახალხო კრების მიერ მირებულ გადაწყვეტილებები-პლებისციტები სავალდებულო მხოლოს პლებსისათვის იყო,ტუმცა ქრ.შობამდე 287 წ .ჰორტენხიუსის კანონიღ ისინი მთელი რომაელი ხალხისათვის სავალდებულო შეიქნადა იერარქიიტ კანონებს გაუთანაბრდა.და იერარქიიტ ჩვეულებითი სამართლის შემდეგ მოდიოდა

49. ვინ იყვნენ latini prisci და რით განსხვავდებოდნნ ისინი cives romani -სგან?

ლათინები ლაციუმის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქების მოქალაქეები ლათინებსა და რომის მოქალაქეებს შორის განსხვავების ძირითადი კრიტერიუმი იყო ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და აქედან გამომდინარე გარკვეული სამოქალაქო თემისადმი კუთვნილება.ლათინურ კოლონიაში გადასახლების შემდეგ რომაელი ლათინი მოქალაქე ხდებოდა თუმცა რომში დაბრუნების თავისუფლად შეეძლო. ლათინებს ჰქონდათ ius comerci, ius conubii , ius migranuli

50. განმარტეტ colonus-ის ცნება?

III საუკუნეში,ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში, დამოკიდებული მოსახლეობის განსაკუთრებული კატეგორია-მიწაზე მიმაგრებულიო გლეხობა(coloni) წარმოიშვა. არკადიუსისა და ჰონორიუსის კონსტიტუციამ კოლონის სტატუსი მიწის მონად განსაზღვრა: მიუხედავად იმისა ,რომ ისინი თავისუფლადშობილნი არიან,ისინი იმ მიწის მონებად განიხილებიამ სადაც დაიბადნენ.

51.ჩამოთვალეთ ძველროამული საქორწინო რიტუალების სახეები?

უძველესი პერიოდის რომში არსებობდა საზეიმო რელიგიური რიტუალი-confarreatio-რომელსაც ათი ქურუმი აღასრულებდა და მხოლოდ პატრიციებისათვის იყო ნებადართული რიტუალის დროს საპატარძლოდა საქმრო წმინდა პურს ტეხდნენ

და ქურუმების მითითებებს ასრულებდნენ.რესპუბლიკის პერიოდში ნიშანდობლივი იყო საპატარძლოს სიმბოლური ყიდვა -coemptio.

52. დაასახელეთ ძველ რომში არსებული შვილად აყვანის წესები?

შვილად აყვანის დროს აუცილებელი იყო რამდენიმე პირობის დაცვა .მაგალითად:1-არ შეიძლებოდა ერთზე მეტი პირის შვილება2-არ შეიძლებოდა სხვის მიერ გაუზატებულის შვილება 3-იკრძალებოდა სამოცწელს გადაცილებული პირის შვილება.4-აკრძალულუნიყო რომ ასაკით უმცროსს ასაკით უფროსი ეშვილა 5-ასევე იკრძალებოდა სხვაგან მყოფის და იმ პირის შვილება ვინც შვილებაზე თანახმა არ იყო

53. ვის შორის ეწყობოდა confarreatio საქორწინო რიტუალი?

ეს საზეიმო რელიგიური რიტუალი მხოლოდ პატრიციებისთვის იყო ნებადართული .

54. ჩამოთვალეთ საკუთრების უფლების შეძენის ნაწარმოები გზის სახეები?

ამ დროს თავდაპირველი მესაკუთრე ნივთზე ყველა უფლებას კარგავდა და ახალ მეპატრონეს გადაეცემოდა ნებელობითი ხასიათის მოქმედების შედეგად.ასეთები იყო:მანციპაცია(mancipatio), in iure cession(საკუთრების უფლების გადატანის მოჩევნებითი სასამართლო პროცესი), traditio(ნივთის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა)

55. განმარტეთ ხელშეკრულების(contractus) ძველრომაული დეფინიცია?

კონტრაქტი არის ვალდებულებითი ხელშეკრულება ,რომელიც უკვე ius civile-ში არსებობდა.ზოგიერთი კონტრაქტი არის ფორმალური -ვერბალური ანუ ზეპირი ფორმის და ლიტერალური ანუ დაწერილი ფორმის და ასევე არსებობს არაფორმალური ხელშეკრულებები-რეალური და კონსესუალური

56.ჩამოთვალეთ magistratus maiores ?

კონსულები პრეტორები კვესტორი, ედილები,პლებსის პლებსის ტრიბუნები , ცენზორი

57.ჩამოთვალეთ პრინციპატის პერიოდის სახელმწიფო ორგანოთა სისტემა?

სახალხო კრებები,სენატი-ფორმალურად განაგრძობდნენ არსებობას,იმპერატორ ადრიანეს დროს კი შეიქმნა განსაკუთრებული სათათბირო ორგანო-საიმპერატორო საბჭო ,იმპერატორის კანცელარია

58. როდის შეიქმნა და რამდენი წიგნისგან შედგეოდა digesta iustiniani?

530-533 წლებში საგანგებოს შექმნილმა კომისიამ კლასიკოსთა თხზულებების ანთოლოგია-digesta მოამზადა.დიგესტებში მოცემულია ამონარიდი 38 იურისტის 275 თხზულებიდან ,რომელთაგანაც თითოეულ ამონარიდში თხზულებების ავტორთა სახელებია მითითებული.სამი წლის განმავლობაში კომისიამ 1535 წიგნი წაიკითხა. მათი შესწავლა იურიდიულ თხზულებათა ტექსტებით ხდებოდარომელთა საფუძელზედაც 50 წიგნის ანთოლოგია შედგა.ეს უკანასკნელი 432 თემატურ თავად დაიყო.

59.რა ქმედებებს ეხებოდა leges duodecim tabularum-ის VIII და IX თავები?

ეს თავები სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს , დანაშაულსა და სასჯელის დადგენის საფუძვლებს აწესრიგებდნენ.

60. რა ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა tutela et cura ?

ორივე ამ ინსტიტუტით იგულისხმებოდა ყურადღება,მზრუნველობა როგორც პიროვნების ისე ქონების მიმართ.tutela-არასრულწლოვანებსა და ქალებზე წესდებოდა, cura-სულით ავადმყოფებზე ,მფლანგველებზე ,მცირეწლოვნებზე ,ავადმყოფებზე,ზოგჯერ არასრულწლოვნებზე.ძირითადი პრინციპი კი რასაც ესენი ეფუძნებოდა იყო bonae fidei-ს.

61. ჩამოთვალეთ persona-ს სტატუსები და კაპიტუსები?

Status libertatis,status civitatis, status familiae

Capitus minima,capitus maxima,capitus media,

62. მემკვიდრეობის რამდნეი რიგი განსაზღვრა 543 წლის 118 novellae iustiniani -მ?

4 რიგი.1 რიგი-შვილები და მათი დაღმავალი ხაზის ნათესავები

2 რიგი-ღმავალი ხაზის ნათესავები, ღვიძლი და-ძმა(მათი შვილები)

3- ნახევარი და-ძმა და მათი შვილები

4-სხვა სისხლისმიერი ნათესავები.

63.მხოლოდ ჩამოთვალეთ რომის სამართალში მოქმედი,საკუთრების უფლების შეწყვეტის გზები?

1-ნივთის განადგურება 2-როცა მესაკუთრე თვითონ აცხადებს ნივთზე უარს

3-მესაკუთრეს ჩამოერთმევა საკუთრება 4-ნივთის ბრუნვიდან ამოღება

64. რა გზით იქმნებოდა შემთხვევითი თანამესაკუთრეობა და როგორ იყოფოდა თანასაკუთრების წილი?

შემთხვევითი თანამესაკუთრეობა წარმოიშობოდა ქონების შემთხვევითი გაერთიანებით ,რამდენიმე პირის მიერ,ერთი და იმავე ნივთის შეძენის შედეგას ხდებოდა(ემკვიდრეობა ან ლეგატი , ან იმ ნამდენიმე ნივთის ფიზიკური შერწყმის შედეგად რომელთა განცალკევებაც შეუძლებელი იყო. თანასაკუთრების გაყოფისას, თანამესაკუთრეთა წილები მოსამართლეს საკუთარი შეხედულებისამერ შეეძლო გაეყო, მაგრამ გაყოფადი ნივთები სამართლიან ფასად უნდა შეეფასებინა. შემთხვევითი თანასაკუთრება იყოფდა ეგრეთწოდებული იდეალური წილით.

65. დაასახელეთ delictum privatum-ის სახეები?

ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა, სხვისი წონების დაზიანება ან განადგურება.

66. ვინ დებდა Obligationes naturales?

ნატურალური ვალდუბულება დაიდებოდა მონების მიერ დაიდებოდა , მოგვიანებით კი, იმ პირების მიერ რომლებიც paterfamilias ხელისუფლებაში შედიოდნენ.

67. მხოლოდ ჩამოთვალეთ Magistratuus ნიშნები?

1.არჩევითობა 2.კოლეგიალობა. 3. თანამდებობაძე ყოფნის ერთწლიანი ვადა 4. უსასყიდლობა 5. ანგარიშვალდებულება.

68. რა სტატუსი ჰქონდა senatus რესპუბლიკურ რომში?

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობითი და სათათბირო ორგანო,რომლის წევრებადაც სენატორი- პატრიციები დასენატორი- პლებეიები აირჩეოდნენ.

69. რას ამბობდა გაიუსი(gaius-ი) კანონის(lex-ის) შესახებ?

კანონი არის ის რაც ბრძანა და დაადგინა ხალხმა.

70. ძველ რომში , რა მოვლენაა დაკავშირებული ქრ-შობამდე 367 წელთან?

სექსტუს ლატერანუსის ინიციატივით მიღებული კანონით (lex liciniae sextiae) დადგინდა : ერთ-ერთ კონსულად აუცილებლათ პლებსის წარმომადგენელი უნდა არჩეულიყო.

71. ძველ რომში ვინ იცავდა peregrine-ს სამართლიან ინტერესებს?

პრეტორი თავისი სარჩელით.

72. ვინ იყვნენ cives romani და რით განსხავდებოდნენ subditis-სგან?

Cives romani იყვნენ რომის მოქალაქეები, subditi-ც მოქალაქეებს წარმოადგენდნე ოღონს ისინი დომინატის დროს ქვეშევრდომები გახდნენ.

73. ვის შვილად აყვანა ხდებოდა adoptio-ს გზით?

სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირის შვილად აყვანა.

74. რას ამბობდა digesta-ში ulpianus-ი fideicommissum-ის შესახებ?

ფედეიკომისი გათანაბრებულია ლეგატთან.

75. რას ნიშნავდა succession per universitatem (in universum ius) ?

უნივერსალური მონაცვლეობა, წინამორბედი პირის სამართლებრივი მდგომარეობა მთლიანად სხვა პირზე გადადიოდა.

76. დაასახელეთ ნივთების ის კლასიფიკაცია ,რომელიც მხოლოდ რომის სამართალში იყო ცნობილი?

მანციპირებადი(res mancipi0 და არა მანციპირებადი (res nec mancipi) ნივთები.

77. ჩამოთვალეთ obligation-ს შინაარსის ელემენტები რომის სამართალში?

გადაცემა(dare), მინიჭება(facere), შესრულება(prastare).

78. რომელი ინსტიტუცია აღიჭურვა iurisdictio-თი ძველ რომში?

სასამართლო.

79.რა სტატუსით სარგებლობდა ძველრომაელი rex-ი?

ის იყო უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ბელადი,რომელიც მოსახლეობის თხოვნიტ საკრალურ ფუნქციასაც ასრულებდა.

80.რა ძირითად ფუნქციას უყენებდნენ conseutudo-ს?

1.გარკვეული წესით ხანგრძლივად ,უწყვეტად მოქმედება და მისი დაცვა.2.ხალხის სამართლებრივ მრწამსთან შესაბამისობა 3.არსებულ კანონთან შესაბამისობა.

81. როდის და ვინ მიმართ გამოიცა <<კანონი ციტირების შესახებ>>?

ვალენტინიანე III-ის მიერ 426 წ. 7 ნოემბერს მიღებული კანონით <<ციტირების შესახებ>> დადგინდა ის ხუთი ყველაზე ცნობილი იურისტი ,რომელთა მოსაზრებებსაც სხვებთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭათ ,პაპინიანე,გაიუსი, პაულუსი, ულპიანე, მოდესტინუსი.

82. რა სტატუსი ჰქონდა servi-ს ძველ რომში?

მონა პოლიტიკური საზოგადოების მიღმა იდგა, ის არც ius civile-ს და არც ius gentium-ის სუბიექტი არ იყო. სხვა ანტიკური სამართლებრივი სიტემების მსგავსას, რომის სამართლითაც მონა ნივთად(res)ითვლებოდა.

83.რას ნიშნავდა succession in singular res?

სინგულარული მონაცვლეობა ,როცა მემკვიდრეობის სუბიექტი იძენდა მისი წინამორბედის უფლებების ნაწილს.

84. როდის დგებოდა ab intestato მემკვიდრეობის საკითხი?

როდესაც პირი გარდაიცვლებოდა ისე,რომ მან არ დატოვა ანდერძით მემკვიდრე ან ანდერძი იყო ბათილი.

85. დაასახელეთ ქალისა და მამაკაცის საქორწინო ასაკი რომის სამართლის მიხედვით ?

ქალი-12, ვაჟი- 14

86.ვინ იყო dominium ex iure quiritium სუბიექტი?

რომის სრულუფლებიანი მოქალაქე

87. მხოლოდ დაასახელეთ delicta privateae-4 ძირითადი ნიშანი?

??????????????????????????

88. რას სახის contractis-ი იყო emptio-venditio?

ყიდვა-გაყიდვის.

89. განმარტეთ რექსების ხანის სახელმწიფო მმართველობის ფორმა?

ეს იყო მონარქია, სახელმწიფოს ჩამოყალობების ადრეული ეტაპი.

90. ჩამოთვალეთ იმპერატორ დიოკლიტიანეს მიერ გატარებული რეფორმები?

მოსახლეობის აღწერა, ადმინისტრაციული რეფორმა(იმპერის ოთხ რეგიონად დაყოფა) , სამხედრო რეფორმა, ედიქტების გამოშვება მაქსიმალური ფასების შესახებ.

91. რა შედეგი მოჰყვა იმპერატორ მარკუს აურელიუს ანტონიუსის მიერ 212 წელს constitution antoniniana-ს გამოცემას?

უცხოელებს რომის მოქალაქეობა მიენიჭათ.

92. მხოლოდ ჩამოთვალეტ რომის სამართლის ისტორიული სისტემები?

Ius civile, ius natural, ius gentium,ius praetorium.

93. დაასახლეთ პრეტორული ინტერდიქტის ყველაზე გავრცელებული ნაირსახეობა?

რესტიტუცია

94.დაასახელეთ ძველრომაული ქორწინების სახეები?

სრულუფლებიანი და არასრულუფლებიანი. სრულუფლებიანი ქორწინება ორი სახის იყო: ქმრის ხელისუფლებით და ქმრის ხელისუფლების გარეშე.

95. სად და ვის მიერ ხდებოდა adrogatio წესით შვილად აყვანის პროცედურის დამტკიცება?

კურიის კომიციებში პრინცეფსისა და მაგისტრატის ნებართვით თავისუფალი პირის შვილება.

96. ვის ენიშნებოდა tutela et cura?

tutela არასრულწლოვანებსა და ქალებზე (იმპერიის შუა პერიოდამდე) წესდებოდა, ხოლო cura სულით ავადმყოფებზე, მფლანგველებზე , მცირეწლოვნებზე, ავადმყოფებზე , ზოგჯერ არასრულწლოვანებზეც(იმპერიის პერიოდამდე)

97. რას ნიშნავდა res extra commercium?

ბრუნვიდან ამოღებული ნივთები

98.განმარტეთ possesio-ს დეფინიცია რომის სამართალში?

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა. ეს იყო წინააღმდეგობრივი ხასიათის ინსტიტუტი ვინაიდან სამართლებრივ და ფაქტობრივ ასპექტებს ერთად მოიაზრებდა .

99. რა სახის contractus-ი იყო depositum-ი?

იყო iudicia bona fides მეშვეობითგანხორციელებულიკონტრაქტი.არის პრინციპულად უსასყიდლო ხელშეკრულება ის მეგობრობას ეფუძნება.